

ა.ა). ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „რაგბის განვითარების კავშირის“

მიერ 2020 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

---

საანგარიშო პერიოდში რაგბის განვითარების კავშირში დასაქმებული იყო 50 ადამიანი, მათ შორის, შვიდი შტატით, 43 ხელშეკრულებით.

11 თვის მდგომარეობით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯულია 294 251ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან კი (რაგბის კავშირიდან) – 62 140 ლარი, ჯამში 356 391 ლარი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 71 143 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 231 200 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 2 892 ლარი, ოფისის ხარჯები - 610 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 18 000 ლარი და ა.შ.

ხელშეკრულებით აყვანილი მოსამსახურეები არიან, ძირითადად, რაგბისტები.

საანგარიშო პერიოდში რაგბის განვითარების კავშირის ძირითადი მიზანი იყო პირველი ლიგის ჩემპიონატისთვის მზადება და სეზონის წარმატებით დაწყება. ასევე, ჭაბუკთა და ბავშვთა რაგბის აღორძინებაზე ზრუნვა, რაგბის განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სარაგბო კლუბმა „არწივები“ ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო 10 მაისიდან კოვიდ-19 რეგულაციების გათვალისწინებით.

ჭაბუკთა გუნდმა ვარჯიში დაიწყო პირველი აგვისტოდან. საფესტივალო ასაკის ბავშვთა ჯგუფების ტურნირები დაიწყო სექტემბერში და პანდემიის გამო ისევ დაიხურა. ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გათამაშებაც შეწყდა ნოემბრის თვიდან.

ძირითადი გუნდი შეივსო კლუბის აღზრდილი ადგილობრივი მოთამაშეებით, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო წასული იყვნენ გუნდიდან. გუნდში მოწვეული იქნენ პროფესიონალი მწვრთნელები, ასევე ექიმი-მასაჟისტი. კლუბმა მიიღო სერიოზული შევსება და ახალ სეზონს მომზადებული შეხვდა.

ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. კეთილმოეწყო გასახდელები და სველი წერტილები, სისტემატიურად ხდება მედიკამენტების შექმნა, გარემონტდა და ექვსი მეტრით გაიზარდა სათადარიგო მოთამაშეების და კომისრის მოსაცდელი.

კლუბისთვის შეძენილი იქნა უმაღლესი ხარისხის სპორტული ფორმები, ეკიპირება, ხარისხიანი ბურთები და სხვადასხვა ინვენტარი. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სპორტსმენებმა ვარჯიში ნორმალურ პირობებში წარმართონ.

გუნდმა წარმატებით დაიწყო ახალი სეზონი, თუმცა პანდემიის გამო ბევრი თამაში გადაიდო.

რაგბის განვითარების კავშირი მზად არის იმოქმედოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის და საქართველოს რაგბის კავშირის მითითებების შესაბამისად.

ა.(ა). ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „რაგბის განვითარების კავშირის“

დირექტორი: ბ.დლონტი